



**დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება**



განკარგულება:გ-109. 109223421

თარიღი:08/12/2022

**დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შესრულების
ანგარიშის განხილვის შესახებ**

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 ნოემბრის N42 დადგენილებით და განისაზღვრა 13120.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: გადასახადები 10440.5 ათასი ლარი, გრანტები 130,0 ათასი ლარი და სხვა შემოსავლები 2550,0 ათასი ლარი. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 9 ცვლილება, რაც გამოწვეული იყო 2022 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთის გახაწილებით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებით გამოყოფილი თანხების ასახვით 5 შემთხვევით და შიდა გადაადგილებით მუხლებს შორის 3 შემთხვევა, რომლის შემდგომ დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 30174.6 ათასი ლარი და გადასახადები განისაზღვრა 11200.0 ათასი ლარით, გრანტები 8310.0 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები 2850,0 ათასი ლარით და წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთიდან 7814,7 ათასი ლარის მიმართებით ხარჯების დასაფარავად.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი 9 თვის პერიოდში შემოსავლები დაგეგმილი იყო 19525.3 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 14949.9 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 76.6%-ით. მათ შორის: გადასახადები დაგეგმილი იყო 9110.5 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 8346.4 ათასი ლარი ანუ გეგმის 91,6%, გრანტების სახით მიღებული შემოსავლების გეგმა შეადგენდა 8137.6 ათას ლარს, ფაქტიურად შემოსულია 3616.1 ათასი ლარი, ანუ 44%.

სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 2277.2 ათასი ლარით, ფაქტიურად შემოსულია 2987,4 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა 131,2%-ით, მათ შორის: რენტა დაგეგმილი იყო 1854.1 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 2083,1 ათასი ლარი, ანუ 112%, კომერციულ ბანკში დეპოზიტზე განთავსებულ თანხიდან შემოსულია 238,8 ათასი ლარი, დაგეგმილი თანხის 200.0 ათასი ლარის 119%. ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული დაგეგმილი იყო 137.1 ათასი ლარი, ფაქტიურად შემოსულია 533,8 ათასი ლარი ანუ გეგმა შესრულდა 389 %-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია შემოსავალი 410.0 ათასი ლარი.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის გადასახდელები დაგეგმილი იყო 26970.8 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურად ათვისებულია 13258,8 ათასი ლარი ანუ 58.4%, მათ შორის:

>მართველობას და საერთო დანიშნულების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 693.5 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 658.3 ათასი ლარი, ანუ ათვისებული იქნა 95%. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 2743,4 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 2492.9 ათასი ლარი, ანუ ათვისებული იქნა 90,8 %-ი. თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღივსვისა და გაწვევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 94%, (გეგმა -87.4 ათასი ლარი, ფაქტი - 82.6 ათასი ლარი)

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია უნდა დაფინანსებულიყო 19182.4 ათასი ლარი, ფაქტიურად დაფინანსდა 9064.9 ათასი ლარი, ანუ 47% მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვაზე დაგეგმილია 4189.4 ათასი ლარი, ფაქტიურად დაფინანსდა 1285.1 ათასი ლარი, ანუ 30,7%, წყლის სისტემების განვითარებაზე დაგეგმილია 4179.7 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულებულია 2559.2 ათასი ლარი, ანუ 61,2%, გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაგეგმილია 1034.3 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსდა 558.3 ათასი ლარით, ანუ 54% შესრულდა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შნობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაციაზე ასევე მოსახლეობის საკუთარი სახლების რეაბილიტაციაზე დაგეგმილია 3550,6 ათასი ლარი, ფაქტიურად დაფინანსდა 1784,0 ათასი ლარით, ანუ შესრულდა 50%, კეთილმოწყობის ღონისძიებები დაგეგმილია 4262.1 ათასი ლარი, ფაქტიურად დაფინანსდა 2435.2 ათასი ლარით, ანუ შესრულებულია 57.1%, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ღონისძიებები დაგეგმილი იყო 1281.0 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურად დაფინანსდა 190.8 ათასი ლარით ანუ შესრულებულია 14,9% და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა და

შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურების განწესისათვის დაგეგმილია 685.3 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულებულია 252.3 ათასი ლარი, ანუ 36,8%.

დასუფთავება და ნარჩენების მართვა დაგეგმილია 762.5 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურად შესრულებულია 616.5 ათასი ლარის ოდენობით, ანუ 81%, მათ შორის: დასუფთავება და ნარჩენების გატანა ააიპ „კომუნალური სამსახურის“ მეშვეობით ხორციელდება ნარჩენების გატანა და მათი სუნიდირება დაგეგმილია 702.5 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურად დაფინანსებულია 616.5 ათასი ლარით ანუ შესრულებულია 81%, ხოლო უპატრონ ცხოველების მოვლითი ღონისძიებების და კაპიტალური დაბანდების ხარჯები დაგეგმილია 60,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიური შესრულება არ განხორციელებულა.

საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილია 1441.6 ათასი ლარი, ფაქტიურად დაფინანსებულია 1008,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის დაგეგმილია 680.8 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულებულია 573.8 ათასი ლარი, ანუ 84%; საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსება დაგეგმილია 75.6 ათასი ლარის ფარგლებში, ფაქტიურად დაფინანსებულია 67,2 ათასი ლარის ფარგლებში ანუ 89%, და საჯარო სკოლების დაფინანსება დაგეგმილია 685,2 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსებულია 367.4 ათასი ლარი ანუ 53,6%.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაგეგმილია 1063.7 ათასი ლარი, ფაქტიურად ათვისებულია 956.7.0 ათასი ლარი, ანუ 90%. მათ შორის: სპორტული დაწესებულების ხელშეწყობის დაფინანსება დაგეგმილია 295.2 ათასი ლარის ფარგლებში, ფაქტიურად დაფინანსებულია 245.9 ათასი ლარით, ანუ 83%, კულტურული სფეროს დაწესებულების ხელშეწყობა დაგეგმილია 379.0 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსებულია 359,1 ათასი ლარით ანუ 94,7%, კულტურული ღონისძიებები დაგეგმილია 120.0 ათასი ლარის ფარგლებში, ფაქტიურად დაფინანსდა 96,5 ათასი ლარით, ანუ 80%, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა დაგეგმილია 99.9 ათასი ლარის ფარგლებში, ფაქტიურად დაფინანსებულია 95,4 ათასი ლარი, ანუ 95,5%, საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა დაგეგმილია 99.6 ათასი ლარის ფარგლებში, ფაქტიურად დაფინანსებულია 89.8 ათასი ლარით, ანუ 90% და რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობა დაგეგმილია 70,0 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსებულია 70,0 ათასი ლარით ანუ 100%.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაგეგმილია 828.8 ათასი ლარით, ფაქტიურად დაფინანსებულია 721.4 ათასი ლარის ფარგლებში ანუ შესრულებულია 87%, მათ შორის: საზოგადოებრივი ჯანდაცვა დაგეგმილია 55.0 ათასი ლარით, ფაქტიურად შესრულებულია 54.0 ათასი ლარით, ანუ 98% , ავადმყოფთა სოციალური დაცვა დაგეგმილია 350,0 ათასი ლარით, ფაქტიური შესრულება დაფინანსდა 278.4 ათასი ლარი ანუ 79%, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამა დაგეგმილია 320.0 ათასი ლარის ფარგლებში, ფაქტიურად შესრულებულია 309.5 ათასი ლარის ოდენობით, ანუ 97%, სარიტუალო მომსახურება 80% (გეგმა 1.0 ათასი ლარი, ფაქტი 0,7 ათასი ლარი), სათნოების სახლი დაგეგმილია 77.3 ათასი ლარი, ფაქტიურად დაფინანსებულია 74.5 ათასი ლარით, ანუ 96% და ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამა დაგეგმილია 102.8 ათასი ლარის ფარგლებში, ფაქტიურად კი შესრულებულია 69.1 ათასი ლარის ოდენობით, ანუ 67,2%.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან 2022 წლის 9 თვეში გაცემული იქნა ერთჯერადი სახით მრავალშვილიან 19 დედაზე 3800 ლარი, ხოლო სახმრის შედეგად საცხოვრებელი სახლების, თივის ზვინების, გარდაცვლილი მოქალაქეების -სარიტუალო ხარჯი, სახალხო დღესასწაულის „ნოვრუზ ბაირამის“ დღესთან დაკავშირებით 20 აზერბაიჯანულ ოჯახზე სასაჩუქრე კალათების გადაცემისათვის, სპორტსმენების ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად, ბინის დაქირავებისათვის და სხვა დახმარებების განწესისათვის ჯამში გაიცა 118,7 ათასი ლარი. სულ საანგარიშო პერიოდში გაიცა 122,5 ათასი ლარი. 2022 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით ნაშთის ოდენობამ შეადგინა 77,7 ათასი ლარი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 85-ე მუხლის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი, დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში და **გადაწყვიტა:**

1. დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

I თავი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2022 წლის 9 თვის გეგმა			2022 წლის 9 თვის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	19525,3	13008.3	6517.0	14949,9	12728.8	2221.1
გადასახადები	9110,5	9110,5	-	8346,4	8346,4	-
გრანტები	8137,6	1620.6	6517.0	3616,1	1395.0	2221.1
სხვა შემოსავლები	2277,2	2277,2	-	2987,4	2987,4	-
II. ხარჯები	11118.6	10108.0	1010.6	9470.8	8807.8	663.0
შრომის ანაზღაურება	1999.3	1937.6	61.7	1943.7	1887.0	56.7
საქონელი და მომსახურება	2793.7	2107.8	685.9	1872.6	1527.3	345.3
პროცენტი	15,0	15.0	-	14,5	14,5	-
სუბსიდიები	2407,8	2361.8	46.0	2132,4	2087.4	45.0
გრანტები	2470,0	2470,0	-	2325,0	2325.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	789,0	788,0	1.0	702,8	702,8	
სხვა ხარჯები	643,8	427.8	216.0	479,8	263.8	216.0
III. საოპერაციო სალდო	8401.7	2900.3	5506.4	5479.1	3921.0	1558.1
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	15824,4	10318.0	5506.4	5847.6	4013.2	1834.4
ზრდა	15824,4	10318.0	5506.4	6257,6	4423.2	1834.4
კლება				410.0	410.0	
V. მთლიანი სალდო	-7417.7	-7417.7	-	-368.5	-92.2	-276.3
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-7445,4	-7445,4	--	-396.3	-120.0	-276.3
ზრდა	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები				-		
კლება	7445,4	7445,4	-	396.3	120.0	276.3
	7445,4	7445,4	-	396.3	120.0	276.3
VII. ვალდებულებების ცვლილება	-27,8	-27,8	-	-27.8	-27.8	-
კლება	27,8	27,8	-			-
საშინაო	27,8	27,8	-	27,8	27.8	-
სესხები	-					
სხვა კრედიტორული დავალიანებები	27.8	27,8		27,8	27,8	
VIII. ბალანსი	0.0	0.0	-	0.0	0.0	-

2) საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან.

დასახელება	2022 წლის 9 თვის გეგმა			2022 წლის 9 თვის ფაქტი			შესრულების პროცენტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	19525.3	13008.3	6517.0	15359.9	13138.8	2221.1	78.7	101	34
შემოსავლები	19525,3	13008.3	6517.0	14949,9	12728.8	2221.1	76.6	97.8	34
არაფინანსური აქტივების კლება	0	0	0	410.0	410.0				0
გადასახდელები	26970. 8	20453.8	6517.0	15756.2	13258.8	2497.4	58.4	64.8	38.3
ხარჯები	11118.6	10108.0	1010.6	9470.8	8807.8	663.0	85.2	87	65.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	15824.4	10318.0	5506.4	6257.6	4423.2	1834.4	39.5	42.9	33.3
ვალდებულებების კლება	27,8	27,8	0	27.8	27.8		100	100	0
ნაშთის ცვლილება	(7445.5)	(7445.5)	0	(396.3)	-(120.0)	-276.3)			

ა) საგადასახადო შემოსავლები

დასახელება	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	პროცენტი
დამატებული ღირებულების გადასახადი	8223.5	7281,4	88.5
ქონების გადასახადი	887.0	1065,0	120
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	700.0	978,4	140
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0	0	0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	180.0	83,2	46.2
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	7.0	3,4	48.6
გადასახადები სულ	9110.5	9411.4	103,3

ბ) გრანტები

დასახელება	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	პროცენტი
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	524,4	453,9	87
კაპიტალური ტრანსფერი	3346,2	2876,4	52,2
სპეციალური ტრანსფერი	370,0	285,8	77
მ.შ. მაღალმთიანი დასახლების ღონისძიებები	0	0	0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	686,0	190.8	
გადასახადები სულ	4926,6	3616,1	47,2

N	თანხა	გრანტი ს გამომყ ოფი	გრანტის სახე	გრანტის მიზნობრიობა	გრანტი ს გამომყ ფის საფუძვ ელი	გამომყ ფის თარიღი
1	145.0	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	დელეგირებული ფუნქციების შესასრულებლად	2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონი	წელი
2	554,3	ცენტრალური ხელისუფლება	მიზნობრივი ტრანსფერი	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	მთავრობის N51 განკარგულება.	14.01.2022 წლის
3	4367366	ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი	<ul style="list-style-type: none"> - სოფ.სარკინეთში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია; - ქ.დმანისში N3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია; - ქ.დმანისში შიდა გზების რეაბილიტაცია დასანიაღვრე არხების მოწყობა; - სოფ.გომარეთის შიდა ქუჩების რეაბილიტაცია; - სოფ.კიზილაჯლოს რეზერვუარისა და წყალსადენის რეაბილიტაცია; - ქ.დმანისში კოსტავას ქუჩის რეაბილიტაცია. - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ.ბოსლებში სკვერის მოწყობა. - სოფელ დაგატახლოს წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია. - სოფელ გომარეთის კულტურის ცენტრის მშენებლობა. - სოფელ იფნარის მაგისტრალური ხაზის,ახალი რეზერვუარის და შიდა ქსელის და ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები. 	მთავრობის N75განკარგულება	17.01.2022 წლის
4	686,0	ცენტრალური	კაპიტალური	სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებული პროექტები	მთავრობის	15.02..N277

		ხელისუფლება	ტრანსფერი		N168 დადგენილება	
5	1620,6	მგფ-ის მიერ გამოყოფილი გრანტი	კაპიტალური ტრანსფერი	ქ.დმანისში წმ.ნინოს ქ. N41 მიმდებარე ტერიტორიის და თავისუფლების ხეივანის რეაბილიტაცია. "განახლებული რეგიონები"	ხელშეკრულების საფუძველზე N9	09.06.2021წ.
6	356,3	ცენტრალური ხელისუფლება	სპეციალური ტრანსფერი	სოფ. მაშავერაში რიტუალების სახლიდან სკოლამდე გზის მოწყობა;	მთავრობის N926 განკარგულება	25.05.2022
7		ცენტრალური ხელისუფლება	კაპიტალური ტრანსფერი			
8	370.0	ცენტრალური ხელისუფლება	სპეციალური ტრანსფერი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება	მთავრობის N131 განკარგულება	26.01.2022 წ.

გ) სხვა შემოსავლები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი %
შემოსავლები საკუთრებიდან	2090.1	2290,1	110
პროცენტები	200.0	207,0	104
რენტა	1854.1	2083,1	112
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	36.0	36,0	100
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	11.0	21,6	196.0
სანებართვო მოსაკრებელი	2.0	8,9	
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვებზე	0	7,1	
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.0	1,8	180
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	8.0	12,7	204
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	25,0	14,4	58
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	50.0	127,6	255
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	137.1	533,8	389
გადასახადები სულ	2277.2	2987,5	131

დ) არაფინანსური აქტივების კლება.

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	0	58,0	
მატერიალური მარაგები	0	0	
არაწარმოებული აქტივები		352,0	
მიწა	0	352,0	
არაფინანსური აქტივების კლება	0	410,0	

ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
შრომის ანაზღაურება	1999.3	1943.7	97
საქონელი და მომსახურება	2793.7	1872.5	67
პროცენტები	15.0	14.5	96,7
სუბსიდიები	2407,8	2132,4	88,6
გრანტები	2470,0	2325.0	94,1
სოციალური უზრუნველყოფა	789,0	702,8	89.1
სხვა ხარჯები	643.8	479,7	74,5
ხარჯები სულ	11118.6	9470.6	85

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	15824,4	6257,6	39.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	15824,4	6257,6	39,5

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით

შემდეგია:

პროგრამული კოდი	დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	392,0	353,4	90,2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	15261,0	5875,3	38,5
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	30,0	0	0
04 00	განათლება	135,9	23,8	17,5
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	5.5	5,2	94,5
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	0	0

ზ) ვალდებულებები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
საშინაო კრედიტორები	27.8	27.8	100.00
ვალდებულებების კლება	27.8	27.8	100.00

ვალდებულებების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ 2017-2026 წლებში სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებულ სესხის (დასუფთავების სპეც ტექნიკა და 100 ურნა) დაფარვას. მგფ-ის მიმართ მუნიციპალიტეტის სასესხო დავალიანება 2022 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 250.2 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 1 ოქტომბრისათვის დავალიანება შეადგენს 222,4 ათას ლარს.

თ) ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 0 ათასი ლარის ოდენობით ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 0 ლარი

(ათას ლარებში)

ფინანსური აქტივების ზრდა	2022 წლის 9 თვის გეგმა	2021 წლის ფაქტიური შესრულება
	0	0
ვალუტა დეპოზიტები	0	0

* 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 7850978 ლარი, მათ შორის მუნიციპალიტეტის საკუთარ ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენს 6332931 ლარს, ხოლო მთავრობის ფონდებიდან გამოყოფილ ნაშთში 1518047 ლარი.

ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 0 ათასი ლარი

ფინანსური აქტივების კლება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტიური შესრულება
ვალუტა დეპოზიტები		

ი) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ნაშთიდან ხარჯების დასაფარავად მიმართული იქნა 7818.0 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან არსებული ნაშთი ძირითადად მიმართული იქნა საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებისათვის 584770 ლარი, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის 475657 ლარი, წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციაზე 162995 ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის 55138 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის აუთვისებელი

თანხა 2017-2021 წლების 185300 ლარი და საჯარო სკოლების თანხა 43882 ლარი. აღნიშნული სახსრების მიზნობრიობა შემდეგია:

დასახელება	თანხა
#2577 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	131,1
#2630 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	87,6
#551 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	8,9
#136 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	253,2
#2685 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	742,6
#1213 განკარგულებით გამოყოფილი სახსრები	55,1
გასული 2016-2021 წლების სხვადასხვა განკარგულებების ნაშთები	239,5
	6300,0
საკუთარი ანგარიშზე არსებული ნაშთი	
01.01.2022-ის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი	7818,0

ი) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალ. კოდი	დასახელება	გეგმა	ხარჯი	შესრულება %
00	ჯამური			
00	ჯამური	26970.8	15756.2	58.4
2	ხარჯები	11118.6	9470.8	85.2
2.1	შრომის ანაზღაურება	1999.3	1943.7	97.2
2.2	საქონელი და მომსახურება	2793.7	1872.6	67
2.4	პროცენტი	15.0	14.5	96.7
2.5	სუბსიდიები	2407.8	2132.4	88.6
2.6	გრანტები	2470.0	2325.0	94.1
2.6.3	გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	2470.0	2325.0	94.1
2.6.3.1	მიმდინარე	125.0	125.0	100
2.6.3.1.3	გრანტები ერთიან მუნიციპალურ ბიუჯეტს	125.0	125.0	100
2.6.3.2.1..2	კაპიტალური - გრანტები ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ(ებ)-ს/ა(ა)იპ(ბ)-ს	2345,0	2200,0	93.8
2.7	სოციალური	789.0	702.8	89.1

	უზრუნველყოფა			
2.8	სხვა ხარჯები	643.8	479.7	74.5
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	643.8	479.7	74.5
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	643.8	479.7	74.5
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	15824.4	6257.6	39.5
32	ვალდებულებების კლებ	27.8	27.8	100
7	მთლიანი ხარჯები			
00	ჯამური	26970.8	15756.2	58.4
2	ხარჯები	11118.6	9470.8	85.2
2.1	შრომის ანაზღაურება	1999.3	1943.7	97.2
2.2	საქონელი და მომსახურება	2793.7	1872.6	67
2.4	პროცენტი	15.0	14,5	96.7
2.5	სუბსიდიები	2407.8	2132.4	88.6
2.6	გრანტები	2470.0	2325.0	94.1
2.6.3	გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	2470.0	2325.0	94.1
2.6.3.1	მიმდინარე	125.0	125.0	100
2.6.3.1.3	გრანტები ერთიან მუნიციპალურ ბიუჯეტს	125.0	125.0	100
2.6.3.2.1.2	კაპიტალური - გრანტები ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ(ებ)- ს/ა(ა)იპ(ბ)-ს	2345.0	2325.0	93.8
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	789,0	702,8	89.1
2.8	სხვა ხარჯები	648,8	479,7	74,5
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	648,8	479,7	74,5
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	15824,4	6257,6	39,5
33	ვალდებულებების კლება	27.8	27,8	100
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება			
00	ჯამური	3524,3	3233,8	91,8
2	ხარჯები	3104,5	2852,6	91,9

2.1	შრომის ანაზღაურება	1999,3	1943,7	97,2
2.2	საქონელი და მომსახურება	898,6	743,6	82,7
2.4	პროცენტი	15,0	14,5	96,7
2.5	სუბსიდიები	0		
2.6	გრანტები	25,0	25,0	100
2.6.3	გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	25,0	25,0	100
2.6.3.1	მიმდინარე	25,0	25,0	100
2.6.3.1.3	გრანტები ერთიან მუნიციპალურ ბიუჯეტს	25,0	25,0	100
2.6.3.1.3.2	მიმდინარე - გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-ს/ა(ა)იპ(ბ)-ს	25,0	25,0	100
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	23,8	22,3	93,7
2.8	სხვა ხარჯები	142,8	103,5	72,5
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	142,8	103,5	72,5
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	142,8	103,5	72,5
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	392,0	353,4	90,2
33	ვალდებულებების კლება	27,8	27,8	100
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები			
00	ჯამური	3524,3	3233,8	91,8
2	ხარჯები	3104,5	2852,6	91,9
2.1	შრომის ანაზღაურება	1999,3	1943,7	97,2
2.2	საქონელი და მომსახურება	898,6	743,6	82,8
2.4	პროცენტი	15,0	14,5	96,7
2.5	სუბსიდიები	0		
2.6	გრანტები	25,0	25,0	100
2.6.3	გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	25,0	25,0	100
2.6.3.1	მიმდინარე	25,0	25,0	100
2.6.3.1.3	გრანტები ერთიან მუნიციპალურ ბიუჯეტს			

2.6.3.1.3.2	მიმდინარე - გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)- ს/ა(ა)იპ(ბ)-ს	25,0	25,0	100
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	23,8	22,3	93,7
2.8	სხვა ხარჯები	142,8	103,5	72,5
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	142,8	103,5	72,5
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	142,8	103,5	72,5
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	392,0	353,4	90,2
33	ვალდებულებების კლება	27,8	27,8	100
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა			
00	ჯამური	3403,3	3191,5	93,8
2	ხარჯები	3016,3	2838,1	94,1
2.1	შრომის ანაზღაურება	1999,3	1943,7	97,2
2.2	საქონელი და მომსახურება	825,4	743,6	90,1
2.4	პროცენტი	0	0	
2.5	სუბსიდიები	0		
2.6	გრანტები	25,0	25,0	100
2.6.3	გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	25,0	25,0	100
2.6.3.1	მიმდინარე	25,0	25,0	100
2.6.3.1.3	გრანტები ერთიან მუნიციპალურ ბიუჯეტს			
2.6.3.1.3.2	მიმდინარე - გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)- ს/ა(ა)იპ(ბ)-ს	25,0	25,0	100
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	23,8	22,3	93,7
2.8	სხვა ხარჯები	142,8	103,5	72,5
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	142,8	103,5	72,5
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	142,8	103,5	72,5

31 33	არაფინანსური აქტივების ზრდა ვალდებულებების კლება	387.0 0	353,4	91,3
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა			
00	ჯამური	121,0	42,3	35
2	ხარჯები	88,2	14,5	16,4
2.2	საქონელი და მომსახურება	73,2	0	0
2.4 31	პროცენტი არაფინანსური აქტივ, ზრდა	15,0 5.0	14,5 0	96,7 0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები			
00	ჯამური	27.8	27.8	100
2	ხარჯები	27.8	27.8	100
2.2 33	საქონელი და მომსახურება ვალდებულებების კლება	27.8	27.8	100
7.1.1	თავდაცვა			
00	ჯამური	87,4	82,6	94,5
2	ხარჯები	87,4	82,6	94,5
2.1	შრომის ანაზღაურება	86,7	82,4	95,0
2.2	საქონელი და მომსახურება	0.7	0,2	28,6
7.1.2.1	შეიარაღებული ძალები			
00	ჯამური			
2	ხარჯები			
2.1	შრომის ანაზღაურება			
2.2	საქონელი და მომსახურება			
7.4	ეკონომიკური საქმიანობა			
00	ჯამური	19182.4	9064.9	47
2	ხარჯები	3921.4	3189.7	81
2.2	საქონელი და მომსახურება	1099.4	636.9	58
2.5	გრანტები	2345.0	2200.0	94
2.7	სოციალური უზრუნველყოფა			
2.8	სხვა ხარჯები	477.0	352.8	74
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
31	არაფინანსური	15261.0	5875.3	38

	აქტივების ზრდა			
7.4.2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა			
00	ჯამური	0		
2	ხარჯები	0		
2.2	საქონელი და მომსახურება			
2.5	სუბსიდიები			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა			
7.4.2.1	სოფლის მეურნეობა			
00	ჯამური	0		
2	ხარჯები	0		
2.2	საქონელი და მომსახურება			
2.5	სუბსიდიები			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა			
7.4.5	ტრანსპორტი			
00	ჯამური	4189,4	1285,1	30,7
2	ხარჯები	300,0	129,4	43,0
2.2	საქონელი და მომსახურება	300,0	129,4	43,0
2.5	სუბსიდიები			
2.7	სოციალური უზრუნველყოფა			
2.8	სხვა ხარჯები			
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	3889,4	1155,8	30
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები			
00	ჯამური	4189,4	1285,1	30,7
2	ხარჯები	300,0	129,4	43,0
2.2	საქონელი და მომსახურება	300,0	129,4	43,0
2.5	სუბსიდიები			
2.7	სოციალური უზრუნველყოფა			
2.8	სხვა ხარჯები			
2.8.2	ტრანსფერები,			

	რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	3889,4	1155,8	30
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში			
00	ჯამური			
2	ხარჯები			
2.2	საქონელი და მომსახურება			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა			
7.5	გარემოს დაცვა			
00	ჯამური	762,5	616,5	80,9
2	ხარჯები	732,5	616,5	84,2
2.2	საქონელი და მომსახურება	30,0	0	0
2.5	სუბსიდიები	702,5	616,5	87,8
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	30,0	0	0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება			
00	ჯამური	702,5	616,5	87,8
2	ხარჯები	702,5	616,5	87,8
2.5	სუბსიდიები	702,5	616,5	87,8
7.5.2	კაპიტალური დაბანდები დასუფთავების სფეროში			
00	ჯამური	30,0		0
2	ხარჯები	0		
2.2	საქონელი და მომსახურება			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	30,0		0
7.5.3	უპატრონი ცხოველების მოვლითი ღონისძიებები			
00	ჯამური	30,0		0
2	ხარჯები	30,0		0
2.2	საქონელი და მომსახურება	30,0		0

7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა			
00	ჯამური	14992.9	7779.8	51.9
2	ხარჯები	3621.4	3060.3	84.5
2.2	საქონელი და მომსახურება	799.4	507.6	63.5
2.6	გრანტი	2345.0	2200.0	93.8
28	სხვა ხარჯები	477.0	352.7	73.9
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	11371.5	4719.5	41.5
7.6.2	კომუნალური მეურნეობის განვითარება			
00	ჯამური			
2	ხარჯები			
2.2	საქონელი და მომსახურება			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა			
7.6.3	წყალმომარაგება			
00	ჯამური	4179,7	2559,2	61,2
2	ხარჯები	2573,0	2355,7	91,6
2.2	საქონელი და მომსახურება	228,0	155,7	68,3
2.6	გრანტი	2345,0	2200,0	93,8
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	1606,7	203,5	12,7
7.6.4	გარე განათება			
00	ჯამური	1034,3	558,3	54,0
2	ხარჯები	470,0	348,8	74,2
2.2	საქონელი და მომსახურება	470,0	348,8	74,2
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	564,3	209,6	37,1
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში			
00	ჯამური	9778,9	4662,3	47,7
2	ხარჯები	578,4	355,8	61,5
2.2	საქონელი და მომსახურება	101,4	3,1	1,0
2.8	სხვა ხარჯები	477,0	352,7	73,9
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	9200,5	4306,4	46,8
7.7	ჯანმრთელობის დაცვა			
00	ჯამური	129,7	84,3	65,0
2	ხარჯები	129,7	84,3	65,0
2.1	შრომის ანაზღაურება	50,9	25,3	49,7
2.2	საქონელი და	18,8	4,8	25,5

	მომსახურება			
2.5	სუბსიდიები	55,0	54,0	98,2
2.8	სხვა ხარჯები	5,0	0,2	4,0
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება			
00	ჯამური	129,7	84,3	65,0
2	ხარჯები	129,7	84,3	65,0
2.1	შრომის ანაზღაურება	50,9	25,3	49,7
2.2	საქონელი და მომსახურება	18,8	4,8	25,5
2.5	სუბსიდიები	55,0	54,0	98,2
2.8	სხვა ხარჯები	5,0	0,2	4,0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია			
00	ჯამური	1063.7	956.7	90
2	ხარჯები	1058.2	951.5	89.3
2.2	საქონელი და მომსახურება	108.6	78.0	72
2.5	სუბსიდიები	825.6	750.1	91
2.6	გრანტი	100.0	100.0	100
2.7	სოციალური უზრუნველყოფა			
2.8	სხვა ხარჯები	24.0	23.5	97.9
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.5	5.2	94.5
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში			
00	ჯამური	295.2	245.9	83.3
2	ხარჯები	295.2	245.9	83.3
2.2 2.6	საქონელი და მომსახურება გრანტი	12,6 100.0	5.0 100.0	39.7 100
2.5	სუბსიდიები	182.6	140.9	77.2
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში			
00	ჯამური	698.5	640.8	92
2	ხარჯები	693.0	635.6	92
2.2	საქონელი და მომსახურება	96.0	73.0	76
2.5	სუბსიდიები	573,0	539,1	94,1
2.7	სოციალური უზრუნველყოფა			

2.8	სხვა ხარჯები	24,0	23,5	97,9
2.8.2	ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.5	5,2	94,5
7.8.3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა			
00	ჯამური			
2	ხარჯები			
2.2	საქონელი და მომსახურება			
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა			
00	ჯამური	70.0	70.0	100
2	ხარჯები	70.0	70.0	100
2.2	საქონელი და მომსახურება			
2.5	სუბსიდიები	70.0	70.0	100
31	არაფინანსური აქტივების ზრდა			
7.9	განათლება			
00	ჯამური	1441.6	1008.4	70.0
2	ხარჯები	1305.7	984.6	75.5
2.2	საქონელი და	554.3	345.0	62
2.5	მომსახურება	747,4	637,5	85,3
2.7	სუბსიდიები	4,0	2,1	52,5
	სოცულზრუნველყოფა			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	135,9	23,8	17,5
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა			
00	ჯამური	680,8	573,8	84,3
2	ხარჯები	675,8	572,4	84,7
2.5	სუბსიდიები	671,8	570,3	84,9
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	4.0	2,1	52,5
31	არაფინანსური აქტივების ზრდა	5.0	1,5	30,0
7.9.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში			

00	ჯამური	760,8	434,6	57,4
2	ხარჯები	636,3	417,9	65,7
2.5	სუბსიდიები	75,6	67,2	88,9
2.2	საქონელი და მომსახურება	554,3	345,0	62
31	არაფინანსური აქტივები	130,9	22,3	17,0
7.10	სოციალური დაცვა			
00	ჯამური	941,3	821,9	87,3
2	ხარჯები	941,3	821,9	87,3
2.2	საქონელი და მომსახურება	102,8	69,1	67,2
2.5	სუბსიდია	77,3	74,5	96,4
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	761,2	678,3	89,1
2.8	სხვა ხარჯები	0		
2.8.2.1	მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული			
31	არაფინანსური აქტივების ზრდა			
7.10.1	ავადმოფთა და შშ პირთა სოციალური დაცვა			
00	ჯამური	350,0	278,2	79,5
2	ხარჯები	350,0	278,2	79,5
2.2	საქონელი და მომსახურება			
2.7	სოციალური უზრუნველყოფა	350,0	278,2	79,5
2.8	სხვა ხარჯები			
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში			
00	ჯამური	514,0	469,2	91,3
2	ხარჯები	514,0	469,2	91,3
2.2	საქონელი და მომსახურება	102,8	69,1	67,2
2.7	სოციალური უზრუნველყოფა			
2.5	სოც. უზრუნველყოფა სუბსიდია	411,2	400,1	97,3
31	არაფინანსური აქტივების ზრდა			
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას- „სათნოების სახლი“			

00	ჯამური	77,3	74,5	96,4
2	ხარჯები	77,3	74,5	96,4
2.5	სუბსიდია	77,3	74,5	96,4

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 თვეში ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 15756,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (26970,8 ათასი ლარი) 58,4 %. აღნიშნული მაჩვენებელი 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 4769,6 ათასი ლარით.

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

ხარჯების სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით			
პროგ. კოდი	დასახელება	2022 წლის 9 თვის ფაქტი	%
სულ	მუნიციპალიტეტის ასიგნებები	15756,2	58,4
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3233,8	91,8
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9064,9	47,3
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	616,5	80,9
04 00	განათლება	1008,4	70,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	956,7	89,9
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	875,9	87,9

1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00)

საანგარიშო წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 3233,8 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (3524,3 ათასი ლარი) 91,8 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 658,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 2450,6 ათასი ლარი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური (დელეგირებული ფუნქცია) – 82,6 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი) 2. საერთო დანიშნულების ხარჯი: სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-200,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე გახარჯულია 124,9 ათასი ლარი. მათ შორის ორგანიზაციული კოდი 01 01 02-დან-29,4 ათასი ლარი, ორგანიზაციული კოდი 02 04 01-დან გახარჯულია 3,2ათასი ლარი, ხოლო ორგანიზაციული კოდი 06 02 07 გახარჯულია 89,9 ათასი ლარი.

N	ორგან.კოდი	ბრძანების ნომერი	ხარჯის დანიშნულება	თანხა
1	010201	N108.108220601	მრავალშვილიანი დედის დახმარება 3-მარტს დედის დღესთან დაკავშირებით.	3,8
2	010201	აღნიშნული დახმარებების გაცემა განხორციელდა მერის შესაბამისი ბრძანებების შესაბამისად.	სოციალური დახმარება ძლიერი ქარის შედეგად, ხანძრების შედეგად, გარდაცვალებული მოქალაქეების სარიტუალო ხარჯი,სახალხო დღესასწაულის „ნოვრუზ ბაირამობის დღესთან დაკავშირებით,სპოეტსმენების ფესტივალებში მონაწილეობის მისაღებად უკრაინიდან დევნილთა და სხვა დახმარებების გაწვევისათვის.	25,6

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აღებული სესხის მომსახურებაზე გაიწია 42.3 ათასი ლარი, მათ შორის ძირითადი ვალდებულება შემცირდა 27.8 ათასი ლარით, მომსახურების პროცენტმა შეადგინა 14.5 ათასი ლარი,

2) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 9064,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 47,3 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	19182.4	9064.9	47.3
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4189.4	1285.1	30.7
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	300,0	129.3	43.1
02 01 02	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	3889,4	1155,8	29,7
02 02	წყლის სისტემების განვითარება	4179,7	2559,2	61,2
02 02 01	წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	228,0	155,7	68,3
02 02 02	სასმელი წყლის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3951,7	2403,5	60,8
02 02 03	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოები	0	0	0
02 03	გარე განათება	1034,3	558,3	54,0
02 03 02	გარე განათების ქსელის მიერ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი	470,0	348,7	74,2
02 03 03	კაპიტალური დაბანდება გარე განათების სფეროში	564,3	209,6	37,1
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	3550,6	1784,0	50,2
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია.	3180,6	1499,9	47,2
02 04 02	ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია	370,0	284,1	76,8
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	4262,1	2435,2	57,1
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამების ღონისძიებები	1281,0	190,8	14,9
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.	685,3	252,3	36,8

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები, გატარდა კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდა მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

2022 წლის განმავლობაში, დმანისის მუნიციპალიტეტში დაიგო გზები, აღნიშნული პროექტების ფარგლებში მოეწყო სანიაღვრე არხები, საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებმა და ვიზიტორებმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი.

ბიუჯეტიდან დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

გზა:

- სოფელ გომარეთის შიდა ქუჩების რეაბილიტაცია; ქ.დმანისში შიდა გზების რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა;

- სოფელ მაშავერაში რიტუალების სახლიდან სკოლამდე მისასვლელი გზის მოწყობა;

- ქ.დმანისში ქეთევან დედოფლის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღთან საცალფეხო ხიდის მოწყობა;
- სოფელ საკირეში შიდა გზის რეაბილიტაცია, ხოლო სოფელ ამამლოში საცალფეხო ხიდის მოწყობა;
- სოფ. ტნუსში მდინარე მაშავერაზე გოლგოთას მონასტერთან მისასვლელი გადასასვლელი ხიდის მოწყობა;
- სოფ. ვარდისუბნიდან სოფ. მაშავერამდე ქვეითად მოსიარულებთა გზის მოწყობა;
- სოფ. ჯავახში სანიაღვრე არხების მოწყობა.

ბ) წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის რეაბილიტაცია და ახალი წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფა;

2022 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე სამუშაოების დასრულების შემდეგ ბენეფიციარები მიიღებენ აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელს:

- სოფელ კამარლოში ახალი რეზერვუარის მოწყობა, ხოლო სოფელ მთისძირში წყლის სათავე ნაგებობის, შემკრების და მაგისტრალური ხაზის მოწყობა;
- სოფელ ირგანჩაიში სამარაგო რეზერვუარის მოწყობა;
- სოფელ კიზილაჯლოს რეზერვუარისა და წყალსადენის რეაბილიტაცია;
- სოფელ დაგარახლოში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- სოფელ ქვემო კარაბულახის წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- დაწყებულია დმანისის მუნიციპალიტეტის 19 სოფელში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.

გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის მოვლა - პატრონობა და მოხმარებული ელ. ენერჯის ღირებულების დაფარვა.

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ.დმანიაში და 43 სოფელში. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 5441 სანათი წერტილის მოვლა-პატრონობა 165 კმ/გრძობის საკაბელო ხაზით.

გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან:

- გარე განათების ქსელი მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურება;
- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა;
- გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურების ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული განათების წერტილების 5441 სანათი წერტილის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯების ანაზღაურებას.

ქ.დმანისში წმინდა ნინოს ქუჩის და 9 აპრილის ქუჩის ნაწილის გარე განათების მოწყობის მიზნით მიმდინარეობს სათანადო ქსელის რეაბილიტაცია.

- გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება ა(ა)იპ „დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახური“-ს მიერ, რომელიც მოიცავს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას;
- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას;
- დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.

შუალედური შედეგი

- ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;
- განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსივობა.

დ) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სახოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია;

- განხორციელდა სოფ. ზემო ოროზმანის სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები;
 - ქ. დმანისში წმ. ნინოს #1 ჩიხში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია;
 - განხორციელდა სოფელ ირგანჩაიში ადმინისტრაციული შენობის, ამბულატორიისა და სარიტუალო დარბაზის მშენებლობა;
 - მოხდა ქ. დმანისში წმ. ნინოს ქ. # 58-ში მდებარე შენობაში სარეპეტიციო დარბაზის რეაბილიტაცია;
 - სოფელ განთიადის სამუსიკო სკოლის რეაბილიტაცია;
 - შესრულდა სოფელ გოდაგდაგში სარიტუალო დარბაზის სამშენებლო სამუშაოები;
 - დასრულდა სოფელ ვარდისუბნის, გომარეთის და სარკინეთის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია;
 - შესრულდა ქ. დმანისში #2 და #3 საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - შესრულდა სოფელ მთისძირში მდებარე სტიქიით დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - შესრულდა სოფელ დაგარახლოში სტიქიით დაზიანებული სარიტუალო დარბაზის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - შესრულდა ადმინისტრაციულ ერთეულების შენობებში და რიტუალების სახლებში გაზიფიცირება;
- შედეგად მოსახლეობამ მიიღო აღნიშნული სამუშაოების შესრულების შედეგად სარგებელი;

ე) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 05)

2022 წელს დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოეწყო მინი სპორტული მოედნები. საერთო ჯამში 6000-მდე ბენეფიციარებმა მიიღო აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელი. პროექტებია:

- სოფელ ტნუსში, განთიადში და საფარლოში მინი სტადიონების და სპორტული მოედნების რეაბილიტაცია;
- სოფელ განთიადში ნაგზაურთან მისასვლელი ბილიკის და შემოღობვის მოწყობა, ხოლო ქ. დმანისში არსებული მონუმენტის რეაბილიტაცია და ქ. დმანისში ავტოსადგურთან ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ქ. დმანისში წმ. ნინოს ქუჩა N35-ში სკვერის მოწყობა, გორგასალის ქუჩა N1-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა სოფელ ზემო კარაბულახის, ამამლოს და ირგანჩაის სკვერის და სპორტული მოედნის მოწყობა;
- ქ. დმანისში ჭუბერის მე-3 ჩიხი, N4ა სკვერის რეაბილიტაცია;
- დასრულდა ქ. დმანისში წმ. ნინოს ქუჩა N41-ის მიმდებარე ტერიტორიის და თავისუფლების ხეივანის რეაბილიტაცია „განახლებული რეგიონები“.
- ქ. დმანისში 26 მაისის ქ. არსებული სკვერის რეაბილიტაცია;
- სოფელ დიდი დმანისის გადასახედი ხიდის მშენებლობა;

ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 06)

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მოსახლეობის საჭიროებისამებრ მოთხოვნილი სამუშაოები.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 616,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 80,9%-ია. გამოყოფილი სახსრებიდან 616,5 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, ასევე სკვერების, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობასა და სასაფლაოების დასუფთავებას.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	762,5	616,5	80,9
03 01 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	702,5	616,5	80,9
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	0	0	0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში,	30,0	0	0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები.	30,0	0	0

